№ 54
შაბათი, 11 მარტი 1895

1877—1895

# ივერია

№ 54
შაბათი, 11 მარტი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაგარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წიგნ-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ტფილისის ქალაქის გამგეობა და კომისია, რომელიც არჩეულია ტფილისის ქალაქის მოურავის განსვენებულის **პავლე ალექსანდრეს ძის იზმაილოვის** დასაფლავების განმკარგულებლად, აცხადებს საყოველთაოდ, რომ 12 ამ მარტს, ნაშუადღევს $1^1/_2$ საათზედ ვანქის ტაძარში გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

(2—ნ.—1)

კვირას, 12 მარტს 1895 წ.

**ძმათა ნიკიტინ'ების ცირკში**

ჩვენის დროის პირველი თვალთ-მაქცი ნ. ა. კოზლოვი დიდსა და არა ჩვეულებრივს წარმოდგენას გამართავს 20 უფასო საჩუქრებით, რომლებიც შესდგებიან ოქროსა, ვერცხლისა და წვრილ სხვა-და-სხვა ლამაზ ნივთებისაგან. უმთავრესს საჩუქარს შეადგენს ინგლისური ჯიბის საათი.

საჩუქრებს გაწვრთნილი მტრედები გადასცემენ მომგებლებს. თითოეული ბილეთის მსყიდველი ბილეთთან ერთად საჩუქრების კონტრამარკასაც მიიღებს.

წარმოდგენა დაიწყება 8 საათზედ.

ბილეთების ფასი დაკლებულია და შეიძლება ცირკისავე კასაში მიილონ მსურველთ.

(2—უ.—1)

**კაბინეტი კბილის ექიმთა**
**ვ. ი. ჭიჭინაძისა** და **ქ-ნის ძს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

## ახალი ამბავი

—

$_*{}^*{}_*$ გუშინ, 10 მარტს, შემდეგი მოწერილობა მოუვიდა ქალაქის გამგეობას ბაქოს ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელისაგან: ,,ბაქოს ქალაქის საბჭომ 7 მარტის სხდომაზედ მოისმინა სამწუხარო ამბავი ტფილისის ქალაქის მოურავის პ. ა. იზმაილოვის უდროოდ გარდაცვალებისა და, პატივი-სცა-რა მისს ხსენებას ფეხზედ წამოდგომით, დაადგინა: მიენდოს პეტერბურგში მყოფს ბაქოს ქალაქის მოურავს კონსტანტინე ალექსანდრეს ძეს ირეცკის, რომ ბაქოს საბჭოს მხრივ ვერცხლის გვირგვინი დაადგან განსვენებულის კუბოს; საბჭოს სახელით გულწრფელი თანაგრძნობა და მწუხარება გამოეცხადოს განსვენებულის ქვრივს; ასეთი თანაგრძნობა გამოეცხადოს ტფილისის საბჭოს, რომელმაც დიდი დასაკარგი და, ეჭვი არ არის, კავკასიის საუკეთესო საზოგადო მოღვაწე დაჰკარგა.

„ვუცხადებ-რა თქვენის შემწეობით ტფილისის საბჭოს ბაქოს საბჭოს მწუხარებასა და თანაგრძნობას და ვიცნობდი-რა სასწავლებლიდგანვე განსვენებულს პავლე ალექსანდრეს ძეს, რომლის საზოგადო მოღვაწეობასაც თვალ-ყურს ვადევნებდი, ჩემს თავს ნებას ვაძლევ ზემოხსენებულს დავსძინო, რომ არამც თუ ტფილისის მცხოვრებლებმა, არამედ ჩვენ ყველამ, რომელნიც-კი ქალაქის თვით-მმართველობის საქმეს ვემსახურებით რუსეთში, განსვენებულის იზმაილოვის სიკვდილით დავკარგეთ იშვიათი სამაგალითო კაცი, რომლის საქმენი მისაბაძავი იყო. მშვიდობა ნაშთსა შენსა ნიჭიერო, პატიოსანო მუშაკო"!

$_*{}^*{}_*$ გუშინ ქალაქის სამკურნალოს ბ-ნის ა. ს. მატინოვისაგან საჩუქრად მოუვიდა ხუთასი გრამი დოქტორ რუს შრატი ყელ-ჭირვებით ავადმყოფთა განსაკურნავად. ეს წამალი ბ-ნს მატინოვს პარისიდგან გამოუწერია ქალაქის სამკურნალოსათვის. როგორც გვაუწყებენ, ქალაქის სამკურნალოში ერთს ყელჭირვებიანს ავადმყოფს უკვე სწამლობენ რუს მიერ გამოგონილ შრატით.

$_*{}^*{}_*$ დღეს, 11 მარტს, ნაშუადღევის $12^1/_2$ საათზედ, მადათოვის კუნძულზედ ქალაქის მუშანი თავისის ხარჯით იხდიან პანაშვიდს განსვენებულის პ. ა. იზმაილოვის სულის მოსახსენებლად.

$_*{}^*{}_*$ კავკავის სამხედრო გზაზედ გუდაურსა და კობს შუა საშინელი ქარ-ბუქი და თოვლია, რის გამოც დღეს რუსეთის ფოსტა არ მოვა ტფილისში.

$_*{}^*{}_*$ ჩვენ მოგვიტანეს მეჯღანუაშვილის ავტორის არდაზიანის ჯერ კიდევ არსად დაბეჭდილი ხელთ-ნაწერი, რომელსაც სათაურად შემდეგი აქვს: „განსაცდელი მეფე ირაკლი მეორეზედ". ამ წერილის ბოლოს არდაზიანის ხელითვე მოწერილია შენიშვნა: „ეს ამბავი მე გამიგონია მრავალ სარწმუნო პირთაგან, სხვა-და-სხვა დროსა, მაგრამ იმათ შორის ერთი თითონ შესწრებულა ამ შემთხვევას. იმისი სახელი იყო სტეფანე. სტეფანე 15 წლისა იმერეთიდგან მოსულიყო ტფილისში სწორედ იმ დროს, როდესაც ირაკლის ეს ამბავი შემთხვეოდა. ამის შემდეგ სტეფანე წასულიყო ვაქირს, საცა გავიცან და ეს ამბავი მითხრა".

ვეცდებით, მკითხველს მალე გავაცნოთ ეს წერილი.

$_*{}^*{}_*$ ოთხშაბათს, 15 მარტს, საღამოს 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში მოხდება საზოგადო კრება ტფილისის სამეურნეო საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების დამფუძნებელთა; ამ კრებაზედ, თანხმად დამტკიცებულის წესდებისა, უნდა გარდასწყდეს სხვა-და-სხვა საგნები შესახებ საზოგადოების ორგანიზაციისა.

$_*{}^*{}_*$ განხილვა იმ სიტყვებისა, რომელნიც წარმოითქმებიან გარდაცვალებულის ქალაქის მოურავის პ. ა. იზმაილოვის დაკრძალვის დროს, მიენდო გამგეობის წევრს თ. პ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკს და ხმოსნებს ბ.ბ. იოანისიანს და ოპოჩინინს.

$_*{}^*{}_*$ ამ თვის 15-ს რიცხვს არის დანიშნული კრება ყველა იმათი, რომელნიც კი ჰსარგებლობენ აქ სარწყავ არხებითა გლეხთა და მემამულეთა სოფელ უჯარმისა, ხაშმისა, ყარაბულახისა, სართიჭალის, პატარძეულისა და გერმანელთა კოლონიების მარიენფელდისა, ფრეიდენტალისა და პეტერსდორფისა. ყველა ესენი მოწვეულნი არიან ზემოაღნიშნულს რიცხვს სოფ. ხაშმში.

17 მარტს სოფ. საგარეჯოშია დანიშნული კრება იმავე საჭიროებისათვის გლეხთა და მემამულეთა სოფელ ბერთუბნისა, ნინოწმინდისა, ახბულახისა, საგარეჯოსი, გიორგი-წმინდისა, მანავისა და თოხლიაურისა.

$_*{}^*{}_*$ ჩვენს მხნესა და ქართულის მწიგნობრობისათვის ერთგულს მოღვაწეს ზ. ჭიჭინაძეს განუზრახავს გამოსცეს ზოგიერთი ძველი ქართული წიგნები, მაგალითებრ: „მეფე გიორგის ცხოვრება" აღწერილი პ. იოსელიანის მიერ; 2. „კალმასობა" იოვანე ბატონიშვილისა; 3. „ამირან დარეჯანიანი" რომანი, მოსე ხონელისა. ეხლა იბეჭდება „მეფე გიორგის ცხოვრება",. რომლის აღწერაც 1879 და 1880 წლის ,,ივერიის'' ნომრებში იყო დაბეჭდილი; როგორც ეხსომება მკითხველს, ,,მეფე გიორგის ცხოვრება,,ში განსვენებული ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი დალაგებით და ჩინებულად მოგვითხრობს და აღგვიწერს იმ დროების ქართველთა მეფობას, გამგეობის, ხალხს, ქალაქებს, სამხედრო ძალას, შეერთების შესახებ გამართულ მიწერ-მოწერას, დესპან-ელჩების გზავნას. იმ დროების დარბაისელთა ქართველთა რიცხვს, ბატონიშვილების, ქართველთა ჯარს, სამეფო მოხელეთა, სამოქალაქო მოხელეთა, ხელოსანთა, ვაჭართ, სწავლა-განათლების შესახებ, ქართველთ სასწავლებლების და მწიგნობრობის შესახებ და სხ. ერთის სიტყვით, ეს წიგნი სარკეა იმ დროების ქართველთა ცხოვრებისა.

ამ წიგნის დასასტამბად გამომცემელს ხელის მოწერა აქვს გამართული და ვინც წინ-და-წინ წარმოადგენს ერთს მანეთს, დაბეჭდვის შემდეგ ერთი წიგნი უფასოდ მიერთმევა. წიგნი გამოვა მაისის გასვლამდე, წიგნის კაბადონია რიცხვი 500-მდის იქმნება, ჟურ. ,,მოამბის'' ზომისა. დაიბეჭდება კარგს ქაღალდზედ და ახალის ასოებით.

$_*{}^*{}_*$ სხვა-და-სხვა საზოგადოებები, მაგალითად ამსესხებელ-შემნახველი, საურთიერთო დამხმარებელი და სხვ. ხშირად წესდების წრეს გადადიან თურმე და ზოგიერთ დადგენილებასაც სცვლიან თავის ნებითა. ეს გარემოება შინაგან საქმინისტროს შეუტყვია და გუბერნატორებისათვის მოუწერია, აცნობეთ ყველა საზოგადოებებს, თუ ესეთები არიან გუბერნიაში, რომ შეუძლებელია მათთვის ერთხელვე დამტკიცებულ წესდების წრეს გარეშე იმოქმედონ. თუ საჭიროება მოითხოვს რომელიმე ცვლილებას მათს წესდებაში, ეს მხოლოდ იმ წესით შეიძლება, როგორიც ამისათვის დანიშნულია მთავრობისაგანაო.

ესეთი მოწერილობა ტფილისის გუბერნატორმა უკვე აცნობა ყველა მაზრის უფროსსა გუბერნიაში.

$_*{}^*{}_*$ კავკასიის მცხოვრებთ, რომელნიც ადმინისტრატიულის წესით უვადოდ ან ხუთის წლის და მეტის ვადით გაგზავნილ არიან რუსეთის შიდა გუბერნიებში ან სახალინის კუნძულზედ, ხელმწიფის მანიფესტის X მუხლის ძალით მიეცათ ნება თვით ამოირჩიონ საცხოვრებელი ადგილი ყოველგან რუსეთში, გარდა სატახტო ქალაქებისა, გუბერნი-

## ფელეტონი

—

### ამონაკვნესი.

—

ბედო ტიალავ, აბა, რად,
რად შემომიჩნდი ჭირადა?
არ გამალაღე არ იქნა,
ცრემლი მარგუნე წილადა;
რა ხანი გემუდარები,
არც თუ ჩამაგდე ჩარადა,
მითხარ: რა მოგცე მომშორდე?
თავს რად მადგევხარ მზირადა?
ჰაუ, ტიალავ, სოფელო,
ერთხელ მამღერე ტკბილადა!

ევდოშვილი.

### რომელია მართალი?

—

რა კარგია ტყე! რა სულის სიტკბოებას გრძნობს კაცი ტყეში! წამოწვები მაღალ ამწვანებულ კორტოხზედ და გასცქერი აქეთ-იქით მომხიბვლელად ამწვანებულს მთის კალთებს. აი, აგერ, შენს გვერდით აღმოზიდულა უზარმაზარი ფრიალო კლდე და მრისხანედ დასცქერის ქვეყანას. ჰხედავ, იქით, შორს, ძალიან შორს გადაბმულან მაღალნი, მედიდურად გამომზირალნი მთები, რომელთა თეთრად მორთულ თავებს დაჰბჯინებია ლაჟვარდი ცა. ამ დიდებულის მთების წინ გაბმულია მეორე რიგი, უფრო დაბალი, მაგრამ კეკლუცად მოკაზმული ტყით გორები. დაკლაკნილი გველივით, ძირს არშიასავით ევლება მდინარე. აი, იქით, ერთ მთის კალთაზედ გადაშლილა სოფელი; სახლები ბუზის ტოლად მოსჩანს. ჩუმად, ხმა-ამოუღებლივ, მედიდურად გასცქერი ქვეყანას და შენ წინ იხატება მთელი მისი სიტურფე, სიმდიდრე, დიდებულება. გული სიამოვნებით გევსება, ჰგრძნობ რაღაც უცნაურს ნეტარებას, თავისუფლებას, აღტაცებას; თვალი და გული დატყვევებულია ამ დიდებულის, მდიდარის სურათით და მიჯაჭვული ერთ ალაგს არ აშორებ თვალს. ოჰ, ღმერთო! რა კარგია და რა დიდებულია ეს სურათი! რა სიტკბოებას გრძნობს გული აქ! ამაყად წამოწოლილი ხარ მხარ-თეძოზედ და გგონია, რომ შენა ხარ მხოლოდ პატრონი, შენ ხარ ხელმწიფე ამ ქვეყნისა. ჰაერი შეგუბებულია, ხმა არსიდგან ისმის, ტყეც არ ხმაურობს. გამეფებულია დაურღვეველი სიჩუმე. აქ არ ესმის შენს ყურს საცოდავთა კვნესატირილი, არც გაჭირვება, ტანჯვაეება; ვერ მოუწევია შენამდის ვერც შურს, ვერც მტრობას, ვერც ღალატს. სწორედ კარგია, კარგი აქ სიცოცხლე, განმარტოებული, მოშორებული ამ ცოდვილ და უკუღმართ ქვეყანისაგან! ასე ჰფიქრობდა ლევან მშვიდიაშვილი წამოწოლილი მაღალ მთის თავზედ. ლევან მშვიდიაშვილი ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, ესე 24 წლის იქნებოდა, მხარ-ბეჭიანი და შუათანა ტანისა. მისი მშვიდი, სიცოცხლით და სიკეთით აღვსილი თვალები გონივრად გამოიცქირებოდნენ. შავი ახლად აღერებული წვერ-ულვაში ნაზს სილამაზეს აძლევდა მისს ცოტათი ფერ-მკრთალს პირისახეს.

დიდიხანი არ არის, რაც ლევანი გამოსულიყო ცხოვრების ასპარეზზედ; დიდიხანი არ არის, რაც სასწავლებელი დაემთავრებინა და სახელმწიფო სამსახურში ტყის მცველად განწესებული თავის წმიდა იდეალების განხორციელებას ჰფიქრობდა; ვინ იცის რა აღტაცებით და სიხარულით მოელოდა იმ წამებს, როცა სასწავლებელს დაასრულებდა და ბედნიერი მოვიდოდა თავისს ძვირფასს სამშობლოში, როგორ ანაცვალებდა მთელ თავისს ძალას, სწავლას და თვით სიცოცხლესაც-კი თავისს დავრდომილ და დაჩაგრულ მოძმეთა ფეხზედ დასაყენებლად. ამ ფიქრებში იყო გართული ლევანი, რომ უცბად რაღამაც დაიგრიალა და გამოაფხიზლა იგი ფიქრისაგან. შორი-ახლოს იჯდა „აბიეშჩიკი", რომელიც ამ ხმაურობაზედ

ებისა და კავკასიისა. ახლა არ არის გამორკვეული, რომელ დროდგან ეთვლებათ ამ პირთ ვადა სასჯელისა, იმ დროდგან, როდესაც დატუსაღებულ იყვნენ, იმ დროდგან, როდესაც გაიგზავნენ თუ იმ დროდგან, როდესაც დანიშნულს ადგილს მივიდნენ («ნოვ. ობოზრ.»).

⁂ გაზ. „ტფ. ფურც.“-ის სიტყვით „ნაძალადევის“ სახლების პატრონთ შეუკრებიათ ფული გვირგვინისათვის, რომელსაც ისინი დასდებენ პ. ა. იზმაილოვის კუბოზედ; გვირგვინზედ შემდეგი ზედ-წარწერა იქნება: „თავისის ნებით დასახლებულთაგან დაუვიწყარს პ. ა. იზმაილოვს“.

⁂ ქ. ბათუმი: დღე არ გაივლის ისე, რომ უბედურება არა მოხდესრა როშტილდის ქარხნის მახლობლად საქონლის საწყობ სადგურთან. საქონლის მატარებელმა ამ ერთის კვირის განმავლობაში სამამდე ქარხნებში მომუშავე კაცი გამოასალმა წუთი-სოფელს.

ყვავილით ავადმყოფობა გაჩნდა ქალაქში. ნამეტანად გახშირებულია. ორი ქარხნის მომუშავე კიდევაც იმსხვერპლა. ყვავილი ქალაქს გარედაც მოდებულია.

⁂ საჩინო: ამას წინად ბაღდადის ბოქაულმა შემდეგი წინადადება მისცა შეკრებილს ხალხს: თითო სულზედ შეაგროვეთ ხოლმე ორ-ორი აბაზი, შეკრებილი ფული შევიტანოთ ხაზინაში და საჭიროების მიხედვით მოვიხმაროთო. ხალხმა ამაზედ უარი სთქვა. კორესპონდენტი ხალხის უარს ასე ჰხსნის: რამოდენიმე წლის წინად შევაგროვეთ მაგნაირადვე ფული რუსეთში დამშეულთა სასარგებლოდ, ამ ფულიდგან შვიდი თუმანი დაიხარჯა ჩვენში ხოლერობის დროს, დანარჩენი რა იქნა, არ ვიცითო; სანამდის ჩვენ მიერ შეგროვილ ფულის დახარჯვაზედ ანგარიშის წარმოდგენის წესს არ შემოიღებენ, ჩვენ გროშსაც არ შევკრებთო. კორესპონდენტის მოსაზრება ყურადღების ღირსია. იმავე ბოქაულს მეორე წინადადება წარმოუდგენია შესახებ ბაზრის გაჩენისა საჩინოში. ეს წინადადება ხალხს სიხარულით მიუღია, მხოლოდ ჯერ არ გამორკვეულა, თუ სად იქმნას გამართული ეს ბაზარი? შესაფერისად მიაჩნიათ ვანი, სადაც ურიების დიდი მოსახლობაა.

## ქალაქის საბჭო.

—

9 მარტი.

ხუთშაბათს, 9 მარტს, შესდგა საგანგებო კრება ქალაქის საბჭოსი. სხდომა დაიწყო საღამოს 9 საათზედ. თავმჯდომარემ ა. ა. ივანენკომ წაიკითხა შეერთებულის კრებულის დადგენილებანი. დიდი ლაპარაკი გამოიწვია პენსიის დანიშვნის საქმემ. კომისიას გარდაწყვეტილი ჰქონდა, რომ პენსია განსვენებულის ოჯახს 3,000 მან. დაენიშნოსო, რომლიდგანაც 1,800 მან. ქვრივს მიეცეს, ხოლო 1,200 მან. განსვენებულის ერთადერთს ვაჟიშვილს სწავლის დასრულებამდე, ანუ სრულ წლოვანებამდეო. ხმოსნებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ განსვენებულს მოხუცებული დედაც დარჩაო და მაგ 3,000 მან. მივუმატოთ, რომ იმასაც ჰხვდეს რამე წილადაო. განსაკუთრებით ამ აზრისანი იყვნენ ხმოსანნი ოპოჩინინი და იოანესიანი. საბჭომ კენჭი უყარა ამ საგანს და 24 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 15-სა დაადგინა პენსია 3,000 მან. დარჩესო. ამ ფულიდგან, საბჭოს განაწილებით, 1,600 მან. მიეცემა ქვრივს, 800 მან. შვილს და 600 მან. განსვენებულის დედას, ხოლო თუ ქვრივი გარდაიცვალა, იმის პენსიიდგან ორს იმის შვილს, ქალ-ვაჟს, პირველის ქმრის ხელში ნაყოლს, განსვენებულის გერებს თითოეულს დაენიშნება 600 მან.

შემდეგ იმის შესახებ აღიძრა ლაპარაკი, რომ სურათი განსვენებულისა საბჭოს დარბაზში იქმნას დადგმულიო. ხმოსანი შაჰ-აზიზოვი იმ აზრისა იყო, რომ სურათის დადგმა საჭირო არ არის, რადგან თუ ეგრეა, მაშინ სხვა, საუკეთესო ქალაქის მოურავებმა რაღა დაგვიშავეს, მაგალითებრ, რატომ განსვენებულის დ. ი. ყიფიანის სურათი-კი არ უნდა იყოს დადგმული. თუ მაინც-და-მაინც გინდათ, იმისი სურათი ქალაქის მოურავის კაბინეტში, ან საკრებულო დარბაზში დასდგითო. საბჭომ ხმის უმეტესობით დაადგინა, განსვენებულის პ. ა. იზმაილოვის სურათი საბჭოს დარბაზში იქმნას დადგმული.

განხილულ იქმნა კომისიის დადგენილება იმის შესახებ, რომ ვერაზედ აგურხანების ქუჩასა და ახალს ქუჩას იზმაილოვის სახელობის ქუჩები ეწოდოსო. საბჭომ დაადგინა მხოლოდ ახალს ქუჩას, რომელიც აგურხანების ქუჩას სჭრის და რომელზედაც იმყოფება განსვენებულის სახლი, ეწოდოს იზმაილოვის ქუჩაო.

დასასრულ, საბჭომ დაადგინა, რომ განსვენებულის გვამი რკინის გზის სადგურიდგან ვერის ხიდზედ გამოასვენონ, მერე გოლოვინის პროსპექტიდგან ერევნის მოედნამდე და იქიდგან ვანქის ტაძარში მიასვენონ.

## ბ ნის მაჩხანელის დეპო-ბანკების შესახებ.

ვინც კარგად დაჰკვირვებია კახელების ყოფა-ცხოვრებას, ვისაც კარგად აქვს შესწავლილი კახელთა მდგომარეობა, ამათი აღებ-მიცემა იცის, რამდენად დამოკიდებულია ჩარჩ-მოვაჭრეებისაგან კახელები; ის უეჭველია სიამოვნებით მიეგებება იმ ამბავს, რომელიც გვაუწყა „ივერიის“ საშუალებით ბ. დ. მაჩხანელმა.

თავისს პატარა წინა-სიტყვაობაში ბ-ნი მაჩხანელი სამართლიანად განმარტავს, რომ „დღეს ისედაც ბევრრიგად დაცემულს ხალხს უნდა დახმარება, შველა ჩარჩების ხელიდგან გამოგლეჯა და მათს ქონებრივს ძალას რიგიანი აღებ-მიცემობაო“. ეს საგანი რომ რთულია, ამას განმარტებაც არ უნდა.

პირველივე პარაგრაფი პროექტისა დიდს შრომასა, თავდაუზოგველს მეცადინეობას და გამჭრიახობას მოითხოვს, რომ თუ სრულებით ვერა, რამდენიმე მუხლი მაინც განხორციელდეს. რამდენადაც პირადად ჩვენ ვიცნობთ ბ. მაჩხანელს, ეს იმისათვის შეუძლებლად არ მიგვაჩნია, მაგრამ „ერთი კაცი ბრძოლის ველზედ მეომრად არ ჩაითვლება“ და საჭიროა და ფრიადაც საჭირო მომხრეს ყოლა, რომელმაც არა მარტო მატერიალურად დაუჭიროს მას მხარი, არამედ ისეთი, რომელიც ცოდნითაც იქამდის იყოს აღჭურვილი, რომ კარგად ესმოდეს როგორც დეპო-ბანკის მნიშვნელობა, აგრეთვე ხალხის ყოფა-ცხოვრება და იმათი უმთავრესი მოთხოვნილებანი. უამისოდ-კი ძნელია, რომ ეს მეტად რთული საქმე რიგიანად აღორძინდეს, ფეხი გაიდგას და მოიტანოს ის სასურველი ნაყოფი, რომელსაც ასე ჰსაჭიროებენ ეხლა ჩვენში არა მარტო გლეხ-კაცობა, არამედ თითონ თავად-აზნაურობაც.

უფრო საყურადღებოა პროექტის მეოთხე პარაგრაფი. ეს პარაგრაფი, სხვათა შორის, ამბობს: „დეპო-ბანკი მოკლე დროებითაც ისესხებს და მიიბარებს ფულს მსურველთაგან სხვა-და სხვა გვარის სარგებლით თანხმად გამგეობისა და წევრთა უმეტესობისაგან დადგენილ ინსტრუქციისაო, მაგრამ როგორ უნდა ვიფიქროთ, ერთი მითხარით, „სხვა და სხვა გვარის სარგებლი“? განა გამგეობას და თითონ წევრთაც, ერთხელ-და სამუდამოდ არ უნდა ჰქონდეთ დადგენილი, რომ მიბარებულის ფულის პატრონს რა სარგებელი გადაუხადონ, ან თითონ რა სარგებლით გასცენ? თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ ხომ პირველშივე დიდი უთანხმოება აღიძრება მიმბარებელთა შორის და შეიძლება იქამდისაც მიაღწიონ, რომ სრულებით დაჰკარგონ ნდობა და თანაგრძნობაც-კი. მაგალითით დავასაბუთოთ. წარმოიდგინეთ, რომ მე შესანახავად შევიტანე ორი თუმანი, გამგეობა მაძლევს 6%. იმავე დროს ნინიას შეაქვს ფული და იმას-კი აძლევს 5%, ნინიაც ჰკაბულდება, მაგრამ ბოლოს როგორღაც და საიდგანღაც შეიტყო ნინიამ, რომ მე იმაზედ მეტს სარგებელს ვიღებ; მაშინ იგი უკმაყოფილოდ რჩება და თხოულობს, რომ იმასაც ჩემსავით 6% მისცენ, თუ არა და ფული დაუბრუნონ. რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ აქედგან? ის, რომ მე უპირატესობა მეძლევა და ნინიას-კი არა. ნინია უკმაყოფილოდ რჩება, თხოულობს სარგებლის მომატებას და, რასაკვირველია, ბანკის ნდობაც ეკარგება. ამისათვის ჩვენ ფრიად მართებულად მიგვაჩნია, რომ გამგეობამ ერთხელ და საბოლოოდ შეიმუშაოს მე-4 პარაგრაფი და დაადგინოს, რომ მიბარებულს ფულს პატრონს რა% აძლიოს, რამდენიც უნდა იყოს და ვინც უნდა მიაბაროს. უამისოდ-კი „სხვა-და-სხვა გვარის სარგებლით ფულის მიბარება ყოვლად და ყველასათვის შეუძლებელია!

უნდა მივაქციოთ ყურადღება კიდევ ერთს გარემოებას, რმელსაც ვკითხულობთ ამავე პროექტის 1-პარაგრაფის მე—დ მუხლში· ამ მუხლში, სხვათა შორის, ნათქვამია: „ანისიავებს სასყიდელს წევრთაც და არაწევრთაც განურჩევლად წოდება-სარწმუნოებისა — მხოლოდ საქონლის მნისიებელს უნდა მოეპოვებოდეს დასაიმედებელი შეძლება, ან კეთილ-საიმედო თავდებიო.“ ჩვენის აზრით, შეძლება და კეთილ-საიმედო თავდები საკმარისი არ არის, რომ გამგეობამ აიღოს და თავისი სავაჭრო ნასიად ურიგოს. არ არის საკმარისი მეთქი ვამბობ იმ მოსაზრებით, რომ საჭიროა გამგეობას ერთხელ და სამუდამოდ ჰქონდეს დადგენილი, თუ რამდენი ნისია შეიძლება მიეცეს წევრს, თუ კერძო კაცს და ან რა ვადით. ეს უფრო იმისთვის არის საჭირო, რომ გამგეობამ რომ მთელის წლის განმავლობაში ურიგოს ნისიად, აქაო და მონისიავე შემძლებელია, ან კეთილ-საიმედო თავდები ჰყავსო, მაშინ ვგონებ, ადვილი წარმოსადგენი არის, რომ კეთილ-საიმედო თავდების პატრონმა ერთბაშად ვერ შეიტანოს დეპოში ის ფული, რის ღირებულიც მას წაუღია.

ესეც რომ არ იყოს, წარმოიდგინეთ სხვა-და-სხვა შემთხვევა, მაგ. გვალვა, სეტყვა, მოუსავლობა და სხვა. თუ კახელს კაცს, რომლის ერთადერთს წყაროს ცხოვრებისას ამისი შრომა და ნაღვაწევი შეადგენს მოსავალს და თუ საკმაო მოსავალი არ მოუვიდა, მაშინ საიდგან უნდა მოიშოროს ის გარდასახადი, რომელიც მას ექნება დეპოსი? ისიც ხომ საფიქრებელი არის, რომ მას მარტო დეპოსი არ ემართება და სხვა კერძო მოვალეებიც ეყოლება? მაშინ, თუ ათი თუმნის დანახარჯი აქვს დეპოდგან და იმან-კი ერთი ოთხიოდ თუმანი შეიტანა, მეტი ვერ შესძლო. როგორა გგონიათ, განა, რომ დეპომ მეორე წელსაც უნდა დაახარჯოს: პირველი იმ მოსაზრებით, რომ დანარჩენი ფული არ დაეკარგოს და მეორეც იმითი, რომ მუშტარი არ გაექცეს; ორივე შემთხვევაში-კი დეპო მაინც ზარალში იქნება და არა მოგებაში.

აი სწორედ ამისთვის დეპომ პირველადვე უნდა განსაზღვროს: 1, ნისიის ვადა, ე, ი. წლიწადი გაყოს სამს ანუ ოთხს ნაწილად, ყოველი თითო ნაწილი ვადად მიეცეს მონისიავეს და თუ პირველ-მეორე ვადაზედ არ შეიტანა ნისიის ფული, მაშინ მოუსპოს ნისია. ამ ღონისძიებით ყოველს მონისიავეს ეცოდინება, რომ თუ ვადაზედ არ გარდაიხადა როგორმე შესატანი ფული, მაშინ მოუსპობენ ნისიას; ისიც ეცდება და თავისს დროზედ შეიტანს; მერე, რაკი საზოგადოებას ამასთანავე ერთხელვე დადგენილი ექნება, თუ დანიშნულ ვადისათვის ამა და ამდენის მანეთის, თუ თუმნის მეტის ნისიად წაღება სავაჭროსი ყოვლად შეუძლებელია, მაშინ მონისიავეც თავისს მოთხოვნილებას ისე და·

---

მაშინვე ზეზედ წამოხტა და იქითკენ დაიწყო ყურება, საიდგანაც ხმა მოისმა. მერე მივიდა ლევანთან, თავის „ნაჩალნიკთან“ და მოახსენა: ბატონო! ეს უთუოდ ვიღაც შემოპარულა ტყეში და ხესა სჭრის, მე ამ საათში დავიჭერ დამნაშავეს და თქვენ-კი აქ მოითმინეთ და ამის თქმის შემდეგ მელასავით გასწია იქითკენ, საიდგანაც ხმა მოისმა. ლევანმაც აღარ მოიცადა და გაუდგა მისს კვალს. ბევრი არ გაუვლია, რომ კაცის ხმა შემოესმა.

— რა უყავ ცული, სად დამალე, მოიტა ჩქარა, შე მამა...

ლევანი შესდგა; მიიხედა იქითკენ, საიდგანაც ეს ხმა მოისმა და დაინახა უზარ-მაზარი და მრავალ ტოტიანი, ყელ-გადაჭრილი ხე ეგდო და თითქოს მას შესჩიოდაო.

— ერთი შემომხედეთ, რა უწყალოდ და უდროოდ მომისპო სიცოცხლე ამ ბოროტმა და დაუნდობელმა კაცმაო! ნეტა რას ვუშავებდი, რა მტრობა გამიწევია მაგისთვის, სიკეთის გარდა! ჩემს ჩრდილს ქვეშ რამდენჯერ მოუსვენია, ჩემს ამწვანებულს ტოტებს რამდენჯერ ნანა უთქვამს მაგისათვის და სიცხისაგან გახურებული სახე გაუგრილებია. ის-კი არ იცის მაგ უმადურმა, რომ ეს ანკარა წყარო, რომელსაც ეგ გახურებული სიცხისაგან გულით დეეწაფება ხოლმე და გემრიელად მიირთმევს ჩემი და ჩემ მოძმეთა წყალობით ეგრე მოჩუხჩუხებს და უჩვენოდ კვალიც არ იქნებოდა მაგისა, სხვა კიდევ რამდენი სიკეთე გამიწევია მაგისთვის და ეგ-კი ამდენის სიკეთის მაგიერად, უდროოდ მასალმებს წუთი-სოფელს!

მე ვუყურებდი იმ უბედურს ხეს, თანაუგრძნობდი მისს ჩივილს და გაფაციცებით ვეძებდი დამნაშავეს. აგერ დამნაშავეც. შორი-ახლოს იდგა შუა ხნის, მაგრამ უდროოდ დაბერებული გლეხი, ძველსა და დაკონკილს ჩოხაში გახვეული; იდგა უძრავად ქუდ-მოხდილი, წელში მოხრილი; სახე მწუხარებისაგან და გაჭირვებისაგან დაღმაჭოდა, თვალების მაღლა აწევაც ვერ გაებედა და დაღვრემილი დედამიწას ჩასცქეროდა. კაი ხნის შემდეგ, თავ-აუღებლივ წაილუღლუღა:

— მაპატიეთ ბატონო! შევცდი.

მე გაჩუმებული ვიდექი; გული საშინლად მიძგერდა, გიჟსავით თვალები დამეჭყიტა და გაშტერებული ვიყავი.

— მაპატიეთ, წარმოსთქვა ნელის ხმით კიდევ მოხუცმა, წვრილ-შვილმა, სიღარიბემ, შიმშილმა შემაცდინა, მამა...

აქ-კი მოხუცმა ვეღარ დაათავა სიტყვა და ქვითინი ამოუშვა. ოხ, ღმერთო, რა გულის მომკვლელი სურათი მედგა წინ! ის ტიროდა საშინლად, მაგრამ უცრემლოდ, ხმა ამოუღებლივ. ტანში საშინელმა ჟრუანტელმა გამიარა და თმა ამეწეწა. ოჰ, გაჭირვებავ! უკულმართო წუთი-სოფელო! წამომიდგა წინ მისი ღარიბი ოჯახი, წამომიდგა მისი ტიტველი, მშიერ-მწყურვალე ცოლ-შვილი და ეს სულყველა გონებას მირყევდა, სულს მიხუთავდა. ამ უბედურის პირდა-პირ იდგა დაბრიალებულის თვალით „აბიეშჩიკი“, ხელში ეჭირა საბრალოს ცული და მკაცრად უყურებდა „დამნაშავეს“.

— ეხლა სტირი, თავს გვაბრალებ და როდესაც სჭრიდი რას ჰფიქრობდი, ჰა? უყვიროდა ყარაული. შევხედე ამ სიტყვების მთქმელს და გული ზიზღით ამევსო; მინდოდა პასუხი მიმეცა მოხუცის მაგიერად, მინდოდა სიტყვით მაინც გადამეხადა სამაგიერო მისთვის, მაგრამ ამაოდ! მთელი ჩემი არსება რაღაც საკვირველმა ძალამ დაატყვევა, დაამონავა: ენა არ მემორჩილებოდა, ხელ-ფეხს ვერ ვანძრევდი და თვალწინ მხოლოდ სამი სურათი მედგა: ყელგადაგდებული ხე, საცოდავი და ტანჯული სახით გლეხკაცი და მობრიალე თვალებით სამართლის დამცველი „აბიეშჩიკი“. ღმერთო ჩემო! რომელი იყო ამათში მართალი და რომელი მტყუანი?! აი გამოცანა, რომელმაც შეიპყრო მთელი ჩემი არსება, მთელი გონება! ნუ თუ შეგიძლიან, ჩემო გულო, უშიშრად, აუძგერებლად და აუშფოთებლად გახსნა ეს მძიმე კვანძი ცხოვრებისა და სამართლიანად დაადო სასჯელი დამნაშავეს და გაამართლო მართალი!?

მ. მურვანიშვილი.

აკმაყოფილებს, როგორც მოეხერხება და ისიც ეცოდინება, რომ ამ წესით ერთის ვადის განმავლობაში დეპოდგან მეტის სავაჭროს გატანა არ შეიძლება. ამითი-კი ერთიც მოგებული და მეორეც.

ჯერ-ჯერობით ამაზედ მეტი არა ითქმის-რა. არა ითქმის-რა იმიტომ, რომ თითონ პროექტიც იმდენს არაფერს გვეუბნება და უეჭველად ჯერ კიდევ ბევრი რედაქცია დასჭირდება; ვიდრე იგი საფუძვლიანად შემუშავდებოდეს.

დასასრულ მაინც-და-მაინც სულით და გულით ვისურვებ, რომ ამ ახალს ბუჩქს კეთილი ნიადაგი მოეპოვებინოს ქიზიყელების ცხოვრებაში და მოეტანოს ის ნაყოფი, რასაც ისინიც და მათი მეზობელი კახელებიც დიდი მოხარულნი არიან. ჩვენ, კერძოდ, ხომ დიდი იმედი გვაქვს, რომ, თუ ახალის დეპო-ბანკის დამფუძნებელნიც არ აჰყვნენ ზოგიერთთა ფეხის ხმას და გულმოდგინებით შეუდგნენ საქმეს, იქამდის რიგიანად მოიკიდებს ფეხს, რომ შემდეგში არამც თუ სამაგალითო, ბევრისათვის მისაბაძავიც-კი შეიქმნება.

ნიკო ვლისციხელი.

## კორესპონდენცია.

—

**დ. აბაშა.** ოთხის წლის წინად აქ შესდგა ამხანაგობა, რომელსაც ჰქონდა აზრად დაარსება საჯარო წიგნთ-საცავისა. ამ კეთილის საქმის სასარგებლოდ ამხანაგობამ გაჰმართა ორი წარმოდგენა: აბაშაში და სუჯუნაში. აბაშაში მე მომანდვეს სცენის გამოწყობა, ბილეთების გასყიდვა და სხ. რადგანაც აქ პირველად იმართებოდა წარმოდგენა, ამხანაგობა ხარჯს არ ზოგავდა სცენის მოსაწყობად, შრომობდა მხნედ, რომ მომავლისათვის წარმოდგენას არ დაჰკარგოდა თავისი მნიშვნელობა აბაშისა და სხვა მის ახლო მახლო მცხოვრებლების თვალში; ფასი ბილეთებისა სულ მცირე იყო. ამიტომ ამხანაგობას არ გაჰკვირვებია 59 მან. 45 კ. შემოსავლიდგან რომ 19 მან. 35 კ. დარჩა. ეს ფული ამხანაგობამ მე გარდმომცა წიგნთ-საცავისათვის. დაბა სუჯუნაში წარმოდგენის მოთავე იყო ბ-ნი ვლ. ვ—ვა, წევრი ამხანაგობისა. ამ წარმოდგენიდგან შემოსული ფული მე არ მინახავს და ჩემთვის არაფერი არ გარდმოუციათ. ამ წიგნთ-საცავის დასაარსებლად დ. აბაშის ვაჭრებისა და ორი გარეშე მცხოვრებისაგან მე და ერთმა ამხანაგობის წევრმა ბ. გრ. ქ—ვამ შევკრიბეთ 25 მან. დ ერთი აბაზი. ერთი წლის შემდეგ მოგვემატა ერთი საიმედო წევრი ბ. ვ. მასხულია, რომელმაც ტყიბულში შეჰკრიბა 35 მან. და ოთხი წიგნი და გარდმომცა მე; ეს გამოცხადებული იყო გაზეთ „ივერიაში“ თავისს დროზედ. წიგნთ-საცავის დასაარსებლად მოგროვდა ჩემს ხელში სრულიად 79 მან. 11 შაური. აქედგან ერთმა ამხანაგობის წევრმა სესხად გაიტანა 10 მან. და არ დაუბრუნებია. ახლა ჩემს ხელში არის, მხოლოდ 69 მან. 11 შაური დ ოთხი წიგნი. ამის გარდა არავისგან არც წიგნით, არც ფულით შემწეობა არ მინახავს და არც არაფერი მიმიღია ეს ამხანაგობის წევრებს კარგად მოეხსენებათ. დამეარსებინა წიგნთ-საცავი, ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგანაც ის მეორე დღესვე სულს განუტევდა. დღეს ამაზედ ამხანაგობა ხმას არ იღებს და სრულიად მიივიწყეს.

„ივერიის“ ამ წლის 32 №-ში გამოილაშქრა აბაშიდგან პირად ჩემ გასაკიცხად „ერთმა წევრთაგანმა“. ბედნიერია ის ამხანაგობა, რომელსაც ჰყავს და ეყოლება ამისთანა საქმის მცოდნე და ერთგული „წევრ თაგანი“!? ისე წარმოუდგენია ამ ბატონს აბაშის წიგნთ-საცავის საქმე, რომ დაარსებისათანავე ხალხი თითქოს ყოველ მხრივ ბუზსავით დაესია: „ზოგმა ფულით, ზოგმა წიგნები გამოუგზავნაო“. „ასე რომ, მისის სიტყვით, „კარგა ძალი ფული და წიგნები შეუგროვდა, რომლითაც შეგვეძლო (მოზრძანდით და შეიძლით!) წიგნთ-საცავი დაგვეფუძნებინაო“. ეს სიმართლეს მოკლებული სიტყვები „ერთს წევრთაგანს“ უმტკიცებს, რომ ის არის ამხანაგობის ცრუ წევრი. ვინც დაახლოებით იცის აბაშის წიგნთ-საცავის საქმე, —ყველა ნათლად მიჰხვდება, რომ „ერთს წევრთაგანს, ნაცვლად ამხანაგობის დახმარებისა და კეთილის რჩევისა, პირადის ანგარიშებისა გამო დაუწყია ჩემი ლანძღვა-გინება. რამდენად მართებული საქმეა ასეთი საქციელი, ამას მე არ შევეხები.

დასასრულ მივმართავ დ. აბაშაში წიგნთ-საცავის დამაარსებელს ამხანაგობას თხოვნით: ნუ დაავიწყდებათ თავიანთი მოვალეობა; მოჰკიდონ ხელი ამ საქველ-მოქმედო საქმეს ისე, როგორც რიგია და მაშინ უფრო მალე გაკეთდება, ვიდრე ერთის კაცის ხელში.

შომახია.

1895 წ. 5 მარტს,
დ. აბაშა.

—

**სოფ. წაღვლი,** (გორის მაზრა). ამ სოფლის საეკკლესიო სამრევლო სკოლა დაკეტილ-იქმნა. სკოლის დაკეტვის მიზეზების გამოსაძიებლად სასწავლებლის საბჭომ დანიშნა თვისი წევრი მასწავლებელი ილია ფერაძე. სოფლის გლეხებს, ზოგიერთა გაიძვერა პირების ჩაგონებით, უფიქრიათ, რომ სკოლის შენახვა მომავალში ღარიბს სოფელს დააწვება „ბეგარად“ და ამიტომ არავის აღარ გაუგზავნია სკოლაში შვილი. მართლაც, სოფლელნი ძლიერ ღარიბნი არიან: ისინი სცხოვრებენ მწირს მიწაზედ; უმეტესი ნაწილი მათგანი საბატონო გლეხია და „ღალას“ იხდის; სოფელი შორს არის ისეთს ადგილზედ, სადაც მცხოვრებელთ თვისის ნაწარმოების გასყიდვა შეუძლიანთ. ამის გამო სოფელი ჩარჩების სათლელ დუმად გამხდარა და ისედაც დაღარიბებულნი მეტად შეწუხებულნი არიან. ამ სოფელზედ არ გაივლის არც შარა და არც რკინის გზა. სამწუხაროდ სატირალი ის იყო, რომ გლეხები იძახოდნენ: არ გვინდა სწავლა, არც სკოლა, სიღარიბე გვტანჯავს და სკოლის შენახვა არ შეგვიძლიანო!...

მამასახლისმა ჯიჯაშვილმა აღუთქვა სოფელს უჯამაგიროდ გემსახურებითო და მთელის წლის ჯამაგირს 250 მანეთს ყოველ წლობით სკოლას მოვახმარო; მღვდელი შეჰპირდა უსასყიდლოდ ვასწავლიო ბავშვებს, თავადებმა გენერალ-ლეიტენანტმა მიხეილ ქაიხოსროს ძემ, რომანოზ და ალექსანდრე ამირეჯიბებმა და სოლომონ ედიშერის ძემ ბაგრატიონ დავითიშვილმა შესწირეს წაღვლის სკოლის სასარგებლოდ 8 დესეტინა სახნავი მიწა შტატის ეკკლესიის ახლოს. მაგრამ მაინც გლეხებმა სკოლაზედ უარი განაცხადეს. „დღეს მწერალს ორმოცს თუმანს ვაძლევთ, მამასახლისს ოც-და ხუთს, ჩაფარს ოც-და-ოთხს თუმანს... და თავს იქით ძალა აღარა გვიქვსო!“ ამბობდნენ გლეხები. აი, როგორ დაუტუქსავს სიღარიბეს და სილატაკეს გლეხები, რომ სკოლის წინააღმდეგ არიან; განათლება სძულთ. ერთის სიტყვით, სიბნელეს რჩეობენ, ოღონდა შიმშილით არ ამოსწყდნენ. ქეშმარიტად სამწუხაროა გაჯიუტება გლეხებისა სკოლის წინააღმდეგ!

მეზობელს სოფელს ალში-კი ტფილისის გუბერნიის საერო სკოლების ინსპექტორმა ბ. ბაღდანოვმა სამინისტრო სკოლა გახსნა, რომლის მასწავლებლად დროებით დაინიშნა მღვდელი ისიდორე მაჭარაშვილი. ბ. ბაღდანოვი სხვა მრავალ სოფლებშიაცა სცდილობს სკოლების გახსნას, მაგალითად, ტეზერ ბეკამში, ატოცში, ავნევში, ქვიშხეთში, ხვედურეთში და სხვ.

ტატო ეგაძე.

## რუსეთის ცხოვრება.

—

„ნოვ. ვრ.“ს სიტყვით, მიხეილის სასახლე პეტერბურგში უნდათ საერო მუზეუმისთვის გარდააკეთონ.

—

გრაფ ლ. ტოლსტოის დაუწერია კიდევ ახალი თხზულება, რომელსაც ეწოდება „სამი იგავი“.

—

გაზეთ „რუსსკ. ვედ.“ს გაუგონია, რომ ფინანსთა სამინისტროს განუზრახავს მოახდინოს კონვერსია კერძო საადგილმამულო ბანკების გირავნობის ფურცლებისა.

—

ამ დღეებში ჩვენ ვაუწყეთ მკითხველებს, რომ გარდაწყვეტილია დაარსდეს ქალთა სამედიკო ინსტიტუტი. ახლა თავ. მეშჩერსკი იუწყება—ნამდვილ წყაროებიდან გავიგეო, რომ ეს ჯერ გარდაწყვეტილი არ არისო.

—

ნახატებიან ჟურნალის „ნივა“ს გამომცემელს მარქსს 200,000 მან შეუძლევია ლ. ნ. ტოლსტოის ცოლისათვის, რათა მიეცეს მას ნება ყველა თხზულება ტოლსტოისა და სტამბოს „ნივა“ს დამატებაში, მაგრამ ტოლსტოის ცოლს უარი უთქვამს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

რუსეთის ერთს უმაღლესს სასწავლებელში არის პროფესორი, გენერალი, რომელიც ყოველს წელიწადს მსმენელთ მოუთხრობს ხოლმე აღმოსავლეთ ერთა მდგომარეობას და ამ ერთა შორის იხსენიებს იმათაც, ვინც პოლიტიკურად დამოუკიდებელნი არიან და იმათაც, ვისაც ეს დამოუკიდებლობა აღარა აქვთ: სპარსეთს, ხივა-ბუხარას, ქართველ-სომხებს და სხვ. ყველას ამათ ბ-ნი პროფესორი „ნიჩტოჟნი აზიატებს“ გვიწოდებს ხოლმე.

დღეს-კი გერმანელი გაზეთი ერთს ამბავს მოგვითხრობს, რომლიდგანაც სჩანს, რომ „აზიატობა“ და ევროპიელობა“ აქ არაფერ შუა ყოფილა.

ზემოხსენებულს გერმანულს გაზეთში იაპონიაზედ არის ლაპარაკი და აი რა სწერია:

კინც-კი გერმანიიდგან თვალს ადევნებს ჩინეთ-იაპონიის ბრძოლას, უეჭველად დარწმუნდება, რომ იაპონიელების მტკიცედ განმარტებული სამხედრო საგანთა წესი და ცოდნა სრულიად წაავგავს მოლტკეს მიერ შემოღებულს ომის წესს.

მოლტკე აწინდელის დროის უდიდესს სტრატეგად ითვლება და როგორც ჰხედავს მკითხველი, „ნიჩტოჟნი აზიატებსაც“ შესძლებიათ ჰყოლიონ თავიანთი მოლტკეები; მაგრამ განა მარტო მოლტკეები, იაპონიის ადმინისტრაცია უკეთესთაგანია, ამბობს იგივე გაზეთი, სამართალი და კანონები ევროპისას არ ჩამოუვარდებაო, გემებისა და, საზოგადოდ, ზღვების დაწესებულების მდგომარეობა უმაღლესს წერტილამდე ავიდაო, პროფესორ-სწავლულები კარგები ჰყავთ და სხვა-და-სხვა. ჩამოსთვლის-რა ყველა ამას გერმანული გაზეთი, —დასძენს, რომ ერთობ პატივისცემით და მოწიწებით უნდა იყოს მოხსენებული იაპონიაო. ამ აზიის სახელმწიფოს დიდებული მომავალი მოელისო. ბოლოს გაზეთს თავიც-კი მოაქვს, რომ გერმანიის დიდი მადლობელი უნდა იყოს იაპონია ასეთს წარმატებაში რომ არისო: გერმანიელებისაგან საიკეთო ბევრი რამ შეიძინეს მათაო.

## უცხოეთი

—

**გერმანია.** პირველს აპრილს ბისმარკს შეუსრულდება ოთხმოცი წელიწადი. ამ დღის სადღესასწაულოდ დიდი მზადებაა ახლა გერმანიაში.

სხვა-და-სხვა წრეები და დაწესებულებანი ირჩევენ დეპუტაციებს და ამზადებენ საჩუქრებს. დღესასწაულში მიიღებს მონაწილეობას თვით იმპერატორი და გერმანიის დანარჩენნი ხელმწიფენი. ამბობენ, რომ იმპერატორს ჰსურს ამ დღეს უბოძოს ბისმარკს „უმაღლესობის“ ტიტული, რის უფლებაც ბისმარკს კიდევაც აქვს, როგორც ლაუენბურგის ჰერცოგს. ბისმარკის თაყვანის-მცემელთ ნაციონალ-ლიბე რალებს განზრახვა ჰქონიათ, შეეტანათ რეიხსტაგში წინადადება, რომ რეიხსტაგმა სამშობლოს მაგიერ მადლობა გარდაუხადოს თავ. ბისმარკს. ეს წინადადება განიხილა ამ დღეებში რეიხსტაგის კომიტეტმა და უარ ჰყო, რადგანაც რეიხსტაგის უმრავლესობა, ცენტრი, პროგრესისტები, სოციალისტები და პოლონელნი ბისმარკის წინააღმდეგნი არიან.

—

**იტალია.** გაზ. Difeso“ იუწყება, რომ მთელს იტალიაში ახლა საშინელი შიმშილობაა. სიცილიის ზოგიერთს სოფლებში ხალხი და პირუტყვი ერთად იკვებება მინდვრებში ჩალა-ბალახით. სარდინიაში ხალხი იკვებება პურით, რომელსაც აკეთებენ რკოდგან და თიხიდგან.

## ხელთ-ნაკერი თამარ-დედოფლის სურათი.

სურათი წარმოადგენს იმ წამს, როდესაც შოთა რუსთაველმა ვეფხის-ტყაოსანი მიართვა თამარს. ეს სურათი შემკერველს გ. ქართველიშვილის გამოცემიდგან გადაუღია, მხოლოდ ერთი ორად გაუდიდებია და ზოგი-რამ სხვაც ჩაუმატებია. თითოეულს ადამიანს სურათში იმ დროინდელი ტანისამოსი აცვია შესაფერის ფარჩეულობითა და თვალ-მარგალიტით შემკული. სახეები და ხელები ყველას ფარჩეულობიდგანა აქვთ შეკერილი, აგრეთვე თვალ-წარბი ძაფით ამოკერილი. სულ 18 ადამიანია გამოსახული.

ეს ხელთ-საქმე შავს ხავერდზეა ნაკერი. ორი არშინი სიგრძე აქვს და სიმაღლე არშინი და 5 გოჯი. ვეფხის-ტყაოსნის სურათს აქვს შეხედულობა ვიწრო და მაღალი, ეს-კი დაბალია და განზედ გაწეული, რადგან კედელზედ გასაკრავ ხალიჩად არის მომზადებული. ამ ხავერდზედ შუაგულია ნაკერი: სიგრძით არშინი და სამი ჩარექი, სიმაღლით ერთი არშინი; თავ-ბოლო მოვიწროებული აქვს, ასე რომ ხავერდი, რადგან სწორეა, შუაში რგვლად არის ნაკერი. კუთხეების გარშემო ორ გოჯზედ ხავერდი სჩანს, არშიასავით შემორტყმული. ამის შემკერავს ჰსურს, ამ სადა ხავერდზედ დააწეროს ოქრო-მკედით ლექსები ისევ თამარის შესახებ და იმ ძველის დროისა, რაც ამ სურათს შეეფერება.

ამ ქალს თავისის აზრით და ნიჭით აქამდის მოუყვანია ამისი კერვა და ახლა-კი სთხოვს ქართველს მწერლობას, ყურადღება მიაქციონ და დაეხმარნენ ამ სურათის დასრულებაში, რადგან ლექსების გამოთქმა თითონ არ შეუძლიან და არც თუ ჰყავს ვინმე ადგილობრივ დამხმარებელი. მოგმართავთ-რა ამ თხოვნით, დარწმუნებულია ამ სურათის შემკერველი, რომ მოწონებულ იქნება ეს მისი შრომა და მისს ნიჭსაც წაახალისებენ და დახმარებასაც აღმოუჩენენ. ორი წელიწადია, რაც ამას ჰკერავს. შეიძლება ეს სურათი სადმე გამოფენაზედაც გამოდგეს გასაგზავნად. დახმარების მსურველთ ამ ადრესით შეუძლიანთ მიჰმართონ: ქ. ქუთაისს, ფრანგების ქუჩაზედ, ფ ლიაშვილის სახლში, როზა ივანეს ასული მეფისაშვილისა.

გ. გ—ლი.

## ხოლერის აცრა.

—

გაზეთ „Morgenbladet“ის კორესპონდენტი ინდოეთიდგან დიდად საინტერესო ამბავს იწერება პასტერის ასსისენტის ექიმის ხავკინის მიერ გამოკვლეულის ხოლერის აცრის შესახებ. ზემოხსენებულს კორესპონდენტს უსარგებლნია იმ მოხსენებით, რომელიც ექიმს ხავკინს წარსულის წლის დამლევს კალკუტში მომხდარ სამკურნალო კონგრესზედ წაუკითხნია.

ლექტორს პირველად ცხოველებზედ უცდია აცრა. დარწმუნებულარა, რომ აცრა მართლა შეუძლებლად ჰხდის ხოლერის გაჩენას, ხავკინს ახლა ხალხზედაც უცდია. პირველად თვითონ აუცრია და შემდეგ მასთან ერთად პარისის ლაბორატორიაში მომუშავეთათვისაც აუცრია. ხავკინი სრულიად დარწმუნებულა, რომ მის მიერ გამოგონილი საშუალება უვნებელია. „უნდა სახეში ვიქონიოთო“, ამბობს ხავკინი, „რომ ამ საშუალებას პირველად მეტად ფრთხილად ვეკიდებოდი და არც ვფიქრობდი, რომ აცრა უებარი საშუალება იყო ხოლერის წინააღმდეგ. მე მხოლოდ ის აზრი გამოვსცქვი, რომ ჩემ მიერ გამოგონილს

საშუალებას ესა და ეს თვისება აქვს-მეთქი და ყოველს შემთხვევაში იგი უვნებელია-მეთქი.“ ეჭვი არ არის ამის შემდეგ ძნელი იყო ევროპაში ყურადღების დამსახურება და ძნელადაც თუ ვინმე განაცხადებდა სურვილს ოპერაციისას, რადგანაც ამ უკანასკნელს მცირეოდენი უსიამოვნებაც მოსდევს და დროც უნდა ემსხვერპლოს. ეს იყო მიზეზი, რომ ექიმმა ხავკინმა ინდოეთში წასვლა გარდასწყვიტა, იმ ინდოეთში, რომელიც ხოლერის ბუდედ ითვლება და მართლაც 1893 წელს მარტში ხავკინმა უკვე დაიწყო ხოლერის აცრა კალკუტაში.

მარტიდგან დაწყებული დეკემბრის დამლევამდე ხავკინს 3.474 კაცისათვის აუცრია ხოლერა და აი ამისი ნაყოფი: აცრის შემდეგ 13 სახლში ხოლერით ავად გახდნენ 180 დღის განმავლობის შემდეგ. 13 სახლში სულ 181 კაცი იყო, რომელთაგანაც 85 უკვე აცრილი იყო, ხოლო 95 აუცრელი. აცრილთა შორის მხოლოდ 1 გახდა ხოლერით ავად და მოკვდა, მაშინ როდესაც აუცრელთა შორის 15 გახდა ავად და მოკვდა 11. იმავე წლის ივლისში ხავკინმა აუცრა ხოლერა 75 ინგლისელს ჯარის-კაცს, რომლებთანაც სცხოვრებდნენ 797 სხვა ჯარის-კაცნი; ამ უკანასკნელთ 797 ჯარის-კაცს ხოლერა არ აუცრიათ. იმავ წლის აგვისტოში აქ ხოლერა გავრცელდა, რომლისაგანაც 19 ავადმყოფში 13 მოკვდა, ხოლო 75 აცრილთა შორის-კი არც ერთი არ გამხდარა ხოლერით ავად. 1894 წელს ივლისში სატუსაღოში გაჩნდა ხოლერა. ექვსის ავადმყოფისაგან ხუთი უთუოდ კვდებოდა. სატუსაღოში სულ 409 ტუსაღი იმყოფებოდა დ იმ დროს ხავკინმა ხოლერა მხოლოდ 207 კაცს აუცრა. პირველ ხუთის დღის განმავლობაში აუცრელთა შორის ხოლერით ავად გახდა 7, მოკვდა 5, ხოლო აცრილთა შორის ავად გახდა 5 დ მოკვდა ამათგან 4. მე-8 დღიდგან ხავკინის მიერ აცრილთა შორის ავად აღარავინ გამხდარა, ხოლო დანარჩენებში კიდევ გახდა ავად 8 და მოკვდა 2. აქედგან სჩანს, რომ რვა დღის განმავლობაში აცრამ უფრო მეტი და მეტი წინააღმდეგობა გამოიჩინა ხოლერის შხამთან. ამ გარემოებას ის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ სრულიად ეთანხმება ამ საგნის შესახებ არსებულს თეორიას. ზემოდ ჩამოთვლილი შემთხვევა ხოლერით ავადმყოფთა შორის კიდევ იმითია შესანიშნავი და საყურადღებო, რომ აცრილ და აუცრელ ავადმყოფთა ცხოვრება, ჯანმრთელობა, წლოვანება, სქესი და შემთხვევა ავადმყოფობისა ერთი და იგივე იყო. ამ რიგად ეს ნაცადი ხოლერის აცრა უთუოდ ამტკიცებს მას, რომ ხავკინის მიერ გამოგონილი საშუალება სასარგებლო და უებარია. ერთად-ერთს შემთხვევას, როდესაც 138 ევროპიელს ჯარის კაცს აუცრა, არ მოჰყვა მხოლოდ სასურველი შედეგი; აცრილთა შორის დახოცილთა რაოდენობა 9, 7%-დის ავიდა. ამას ლექტორი იმითი ჰხსნის, რომ ასაცრელი სითხე მეტად თხელი იყო და 66 კაცს სრულიად არ აეცრა. 70 კაცისათვის სიცხე არ მიუცია და მხოლოდ ორს გააცია აცრის შემდეგ.

„British Medical Journal“-ის გამომცემელმა ექიმმა გარტმა, რომელიც კალკუტის კონგრესზედ მონაწილეობას იღებდა, სთხოვა, შემდეგშიაც ეცადნენ, გააუმჯობესონ ეს ახალი საშუალება, რომელიც ასე საიმედოა შემდეგისათვის.

## წერილები რედაქციის მიმართ.

—

ცხინვალის ნორმალურ სკოლის სამეურნეო განყოფილების საბჭო უდიდესს მადლობას უძღვნის ქვემოდ აღნიშნულ პირთა: თავადს მიხეილ ლევანის მეერისთავს და თავ. ივან მიხეილის მე და მათს მეუღლეს ეფემიას მაჩაბელთ, რომელთაც სამეურნეო ბაღისათვის შემოსწირეს, პირველმა 70 სხვა-და-სხვანაირი საბაღოსნო და ხეხილის ხეები და მეორეებმა 24 ნამყენი დიდრონი ვაშლის ხეები.

საბჭოს თავმჯდომარე ე. გუგუშვილი.

—

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მომცეთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით, (თელავის ქართული დასის სახელით) უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულს ეკატერინეს, რომელმაც კეთილ-ინება და თელავის ახლად დაარსებულს ქართულს დასს ერთი ხელი ქალის ტანისამოსი შემოსწირა.

გამგე თელავის დასისა.
მ. აჯ-მამუდოვი.

—

ჩვენ განვიზრახეთ, ყოველ ორის თვის განმავლობაში გამოვიტანოთ ანგარიში საზოგადოებას, თუ რამდენი სოფელი და კაცი სარგებლობს გურიის სახალხო წიგნთ-საცავიდგან, რომელიც სოფელს აკეთშია. ჩვენ ამით ივიცილებდით იმ მითქმა-მოთქმას, რომელიც შარშანდელ ივერიის №№-ში იყო: „ვითომც აკეთი მოუხერხებელი ადგილი იყოს წიგნთ-საცავისათვის და უგზოობის მიზეზით ვერავინ სარგებლობდეს წიგნთ-საცავით. თუ-კი ამ ზამთარში, როცა გზები, საზოგადოდ, ტალახიანია, (როგორც დაინახავთ შემდეგ ანგარიშიდგან) ამდენს კაცს და სოფელს უსარგებლნია, ზაფხულში, რასაკვირველია, მეტი ისარგებლებს.

როგორც წიგნთ-საცავის დავთრიდგან სჩანს, ორის თვის განმავლობაში იანვარში და თებერვალში ამა 1895 წ. წიგნთ-საცავიდგან გაუტანიათ 300 კაცს 700 წიგნი და ჟურნალ-გაზეთი.

(აქ შემდეგიც უნდა დავუმატოთ; ერთი კაცი რომ წაიღებს წიგნს, იმას უთუოდ წაიკითხავს 3-4 ადამიანი და ზოგჯერ მეტიც).

წიგნთ-საცავიდგან უსარგებლია 21 დაბა-ქალაქებს და სოფლებს მაგალითად: ქ. ბათუმს, ოზურგეთს, დ. ჩოხატაურს, ხიდის-თავს, ნაგომარს, სოფ. ნიგოითს, მიმითს, უნაგერას (სუფსა), ერკეთს სურებს, ამაღლებას, სამებას და სხვ.

აკეთის სკოლის მასწავლებელი
ა. გეგეჭკორი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

10 მარტი.

**პეტერბურგი**, 10 მარტი. იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული დანიაში წაბრძანდა, სადაც ცოტას ხანს დარჩება.

გაზეთები ამბობენ, რომ პეტერბურგში განზრახვა აქვთ დაარსონ სამხედრო საკრებულო, იმის მსგავსად, როგორც პარისის „Cercle militaire“-ი არის.

აღმოსავლეთის ესკადრის უფროსი ალექსეევი წავიდა საზღვარ-გარედ.

**ხარკოვი**, 9 მარტი. საურთიერთო ნდობის საზოგადო კრებამ გადასწყვიტა 4,000 მ. გადაიდვას იმპერატორის ალექსანდრე III ძეგლისთვის.

**ლონდონი**, 9 მარტი. სიმონოსეკიდგან იუწყებიან, რომ მოლაპარაკება მორიგების შესახებ ჩინეთსა და იაპონიის შორის დაწყებულა.

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ფ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ-სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ექიმი მ. ტურბოვიჩი. ქალი ა.** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ბ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

---

მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა ქუთ. გუბერნიაში.

ამით აცხადებს, რომ ვისაც ჰსურს რაიმე საქმე იქონიოს ამხანაგობასთან: ამხანაგად ჩაეწეროს, ბარათი მიიღოს, ჭიის თესლი იყიდოს და სხვა, უნდა მიჰმართოს ხონში ან ქუთაისში ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიას, ან სოფ. კუხში, აქაურს ბანკს. ამხანაგობა ჰყიდის ერთს კოლოფ თესლს (7 მისხალს) სამ მანეთად. ამხანაგებს, აგრეთვე მას, ვინც ნაღდ ფულზედ ერთად ათს კოლოფს იყიდის, უფრო იაფად დაეთმობათ. კოლოფებს ამხანაგობის ბეჭედი აქვს დაკრული.

მმართველი ამხან. ნ. წერეთელი.

(—1090—2)


# „ივერია“

1895 წელსაც გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. — კ. | 6 თვით | 6 მ. — კ. |
| 11 ,, | 9 ,, 50 ,, | 5 ,, | 5 ,, 50 ,, |
| 10 ,, | 8 ,, 75 ,, | | 4 ,, 75 ,, |
| 9 ,, | 8 ,, — ,, | 3 ,, | 3 ,, 50 ,, |
| 8 ,, | 7 ,, 25 ,, | 2 ,, | 2 ,, 75 ,, |
| 7 ,, | 6 ,, 50 ,, | 1 ,, | 1 ,, 50 ,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვაროზაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.


საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში ისყიდება
ვალერიან გუნიას მიერ
შედგენილი და გამოცემული

**საქართველოს კალენდარი 1895 წ.**

წიგნი შეიცავს 600 მდე გვერდს და დასურათებულია 65 ნახატებით,
ფასი 50 კაპ.

**უბის წიგნი 1895 წ.**

მშვენიერს ყდაში და ყარანდაშით, ფასი 30 კაპ.

**საოჯახო კედლის კალენდარი 1895 წ.**

დასურათებული და ფერად წამლით დასტამბული,
ფასი 10 კაპ.

**სახალხო კალენდარი 1895 წ.**

დასურათებული და მრავალ საჭირო ცნობებით შევსებული,
ფასი 5 კაპ.

**ქართული მიწერ-მოწერის კრებული**

სახალხო გამოცემა,
ფასი 15 კაპ.

---

**ზეთის სახდელი და საპნის სახარში ქარხნები**

**ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა**

ამ მიმდინარე დიდ-მარხვისათვის შეგიძლიანთ ინებოთ საჭმელში სახმარებლად: შირბახტისა, სელისა და კანაფის ზეთი, აგრეთვე თახვის ყაირე (кастор. масло), სალამპრო და მოხარშული დასაფერავად, გვაქვს აგრეთვე პირველის ღირსების საპონი: ტყვიისა, მარმარილოსი და ზეთისა. ბოთლობით ისყიდება კავკასიის სააფთიაქო ნივთების სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზედ ჯოვანთან, ახალი დობრჟანსკისა და ვორონცოვის ძეგლთან, დარჩო ბაქაროვთან, ნიკოლოზის ქუჩა, ალექსანდრე—ნეველის ეკკლესიის პირდაპირ და ჩალმაიანცთან, სახლი № 1, პანასევიჩის ქუჩა.

წვრილ-წვრილად სყიდვა შეიძლება საკუთარს მაღაზიებში მიხეილის ქუჩაზედ, სახლი კარალოვისა, ძეგლთან, იარმუკაზედ ბუდღანოვის სახლი, თათრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა, ავლაბრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა და ოლღას ქუჩაზედ, მებურნუთოვის სახლი.

ერთიანად სყიდვა შეიძლება ქარხანაში, ერევნის გზატკეცილი, საკუთარი სახლი.

საკუთარს მაღაზიებში და ქარხანაში ისყიდება აგრეთვე საქონლის აკვები ჩენჩო.

(10—982—)4.


Дозвено цензурою, Тифлисъ 10-го Марта 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე